



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი Master of Art Management
პროგრამის მოცულობა ECTS	120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სწავლება 4 სემესტრი. 1 სემესტრი - 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა. სპეციალობის საგნები - 80 კრედიტი; არჩევითი კურსები - 20 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე ჩაირიცხებიან ბაკალავრის და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც ჩააბარებენ ერთიან სამაგისტრო და სასპეციალიზაციო გამოცდას (ზეპირი) კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტში. <i>დეტალური ინფორმაცია სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხების, ჩატარების წესის, ფორმისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ განთავსდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე: www.batu.edu.ge</i>
პროგრამის მიზანი	თანამედროვე ეტაპზე, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა პროფესიული და შემოქმედებითი საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში მართვის თანამედროვე მეთოდებსა და პრინციპებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, მისი წარმატებული ფუნქციონირება და განვითარება მოითხოვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „ხელოვნების მენეჯმენტის“ სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას და ამოქმედებას. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზანი შესაბამისობაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების: საზოგადოების, სახელმწიფოს და დამსაქმებლების მოთხოვნებზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მართვის სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების მენეჯმენტის, დარგობრივი პროექტების მომზადებისა და განხორციელების უნარ-ჩვევები. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალობა განპირობებულია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრინციპების, კულტურულ-საანაზღაურებითი და ხელოვნების დაწესებულებების, კულტურული ტურიზმის განვითარების, თეორიული კვლევების ჩატარების, ხელოვნების მენეჯმენტის პედაგოგ-სპეციალისტთა მომზადების აუცილებლობით.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც მიმდინარე სემესტრულ შეფასებებს ეთმობა 60%, ხოლო დასკვნით გამოცდას 40%. სტუდენტი ვალდებულია, მიმდინარე სემესტრულ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის

	<p>მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <p>სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
<p>სამაგისტრო ნაშრომი</p>	<p>სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით კომპონენტს, რომელშიც სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს სწავლების მანძილზე მიღებული ცოდნა და შემოქმედებით-პრაქტიკული უნარ-ჩვევები.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასება მოიცავს: მიმდინარე შეფასებას - 60% და საბოლოო შეფასებას - 40%. ნაშრომის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში.</p> <ul style="list-style-type: none"> • ნაშრომის მოცულობა, გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია ბხსუ-ს „სასაწავლო პროგრამების განხორციელების წესის“ შესაბამისად.
<p>პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>ხელმძღვანელები: ერმილე მესხია - პროფესორი. სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი.</p>

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრედიტი	საათები			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				სულ	საკონტ.	დამოუკ.	I	II	III	IV
სპეციალობის ძირითადი კურსები			100	1625	390	1235	30	30	30	30
MHf-1		კულტურული მემკვიდრეობის მართვა	5	125	30	95	5			
MHf-2		საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა	5	125	30	95	5			
M10b1		ხელოვნების მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები	5	125	30	95		5		
M10b2		პროექტის მენეჯმენტი კულტურაში	5	125	30	95		5		
M10b3		სამუზეუმო გამოფენებისა და ექსპოზიციების მართვა	5	125	30	95		5		
M10b4		ფინანსური მენეჯმენტი	5	125	30	95		5		
M10b5		არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტი	5	125	30	95		5		
M10b6		სპონსორობა და ფანდრაიზინგი	5	125	30	95		5		
M10b7	MHf-2	კულტურის პოლიტიკა	5	125	30	95			5	
M10b8	MHf-2 M10b1	მარკეტინგი ხელოვნებაში	5	125	30	95			5	
M10b9		კულტურის სფეროს ადამიანური რესურსების მართვა	5	125	30	95			5	
M10b10		კულტურის რესურსების მენეჯმენტი	5	125	30	95			5	
M10b11		ლონისძიებების დაგეგმვა და მართვა	5	125	30	95			5	
MHf-3		კვლევის საფუძვლები	5	125	30	95			5	
Hfc-26		უმალესი სკოლის პედაგოგიკა	5	125	30	95				5
M10b12		პრაქტიკა (M.მ.)	5	125	30	95				5
M10b16		სამაგისტრო ნაშრომი (მ)	20	500		500				20
არჩევითი კურსები			20	250	60	190	20			
სულ			120	3000	720	2280	30	30	30	30